1953

დილა

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
გამოცემის ოცდამეექვსე წელი

572
5
Обязательный экземпляр
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 7 ივლისი 1953

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

19 ივლისს სრულდება 60 წელი საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადებიდან. ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა დიდი ზეიმით აღნიშნავს ამ დღეს.

ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი დაიბადა 1893 წლის 19 ივლისს ქუთაისის ახლოს, სოფელ ბაღდადში. პოეტის მამა მეტყევე იყო, დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში. მან მშრომელი მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ბავშვობის წლები ქართულ სოფელში გაატარა, ხოლო შემდეგ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. მას ბევრი პატარა ქართველი მეგობარი ჰყავდა. ყველას უყვარდა ვალოდია, იგი გულისხმიერი ამხანაგი იყო. მესამე კლასის მოსწავლე ვლადიმერ მაიაკოვსკი მონაწილეობას იღებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გიმნაზიის მოსწავლეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში.

1906 წელს ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა გარდაეცვალა და მთელი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა.

მოსკოვში ვლ. მაიაკოვსკიმ სწავლა განაგრძო. აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში, რისთვისაც რამდენჯერმე დააპატიმრეს.

მოსკოვში ვლ. მაიაკოვსკიმ დაიწყო საბჭოთა მოღვაწეობა.

გავიდა ხანი. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პოეტს ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიჭის ფართოდ გაშლის საშუალება მისცა.

ვლ. მაიაკოვსკიმ მრავალ ლექსსა და პოემაში უმღერა ახალ საბჭოთა ქვეყანას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შესანიშნავი ნაწარმოებები: „კარგია“, „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“, „საბჭოთა პასპორტი“, „მთელი ხმით“ და მრავალი სხვა. პოეტმა ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა ჩვენს ახალგაზრდობას და განსაკუთრებით ბავშვებს. ბევრი თქვენთაგანი იცნობს მაიაკოვსკის საბავშვო ლექსებს: „რა არის კარგი და რა არის ცუდი“, „ვინ მინდა ვიყო“ და სხვ.

ქართველმა ხალხმა დიდი პოეტის პატივსაცემად მის მშობლიურ სოფელს ბაღდადს მაიაკოვსკი უწოდა, ხოლო ბაღდადის რაიონს—მაიაკოვსკის რაიონი.

ვლ. მაიაკოვსკის შესახებ დიდმა სტალინმა თქვა: „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და უნიჭიერეს პოეტად“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5369

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ნახატი. გრ. ჩირინაშვილისა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ნახატები რ. ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის კარგი და რა არის ცუდი

კიკნა ბიჭი
 მამასთან
შემოიჭრა წუთით:
— „მამი,
 კარგი რა არის,
ან რა არის
 ცუდი“?
მამის პასუხს,
 ბალღებო,
მე ამ ლექსში
 გიწერთ,
საიდუმლო
 არ არის,
მოისმინეთ, გიწვევთ:
„თუ სახურავს
 ქარი გლეჯს,

დგება სეტყვის წყობი, —
ყველამ იცის,
 ეს არის
მგზავრებისთვის
 ცუდი.
წვიმა იყო,
 გადიღო,
და მზე ღრუბლებს გასცდა,
ეს კარგია,
უხარის
დიდს და
 პატარასაც.
თუ ბავშვს ტანზე
 ლამისფრად
ჭუჭყი ბლომად
 აძევს,

ეს ცუდია,
მოქმედებს
ბავშვის
სათუთ კანზე;
თუ ბავშვს უყვარს
საპონი,
უყვარს
კბილის ფხვნილი, —
კარგი არის

ამ პატარას
ნუ სცემთ"!
ძლიერ კარგად იქცევა,
ეხმარება
სუსტებს.
თუ აქციეთ
ნაკუწად
წიგნები და
ბურთი,

ეს ბავშვი
და ამგვარი შვილი.
სუსტი ბავშვის
დამჩაგვრელს,
ებედს და
შარის მომდებს
მე ამ წიგნში
არ ჩავწერ,
იმედიც არ ჰქონდეს.
ის, ვინც ამბობს:
— „მოსცილდით,

ყმაწვილები ამბობენ:
— „ეს ბავშვია
ცუდი"!
თუ ბავშვს უყვარს
შრომა და
წიგნში თითებს
ჩარგავს, —
მისთანებზე
იქ წერენ,
რომ ეს ბავშვი
ვარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ყვავსაც კი
გაურბის
და გონებას ჰკარგავს, —
ეს
მშიშარა ბავშვია,
შიში კი
არ ვარგა.

დასვრილ ქუდს
არ იძრობს,
უწოდებენ
ასეთ ბავშვს
უშნოსა და
ბინძურს.
ზოგს კი

ის თუმც
კიკნა ბიჭია,
მავნე ფრინველს
ჩაგრავს,
ყოჩაღი და კარგია,
ცხოვრებისთვის
ვარგა.
ზოგს ტალახშიც
უხარის,

წაღა ისე აქვს,
როგორც
ჭირი სარკის, —
თუმც
პატარა ბიჭია,
მაგრამ
ძლიერ კარგი.
ეს გახსოვდეთ,
ბავშვებო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეც საუბარს
მოვრჩი,
შეეჩვიეთ
კარგ ქცევას,
სანამდე ხართ
ნორჩნი“!
ბავშვი სწრაფად

გაიქცა,
გაისწორა
ქუდი:
— „უნდა კარგად
მოვიქცე,
რომ არ ვიყო
ცუდი

თარგმანი ირაკლი აბაშიძისა

ვ. ოსეევა

ნახატი შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღურჯი ფოთლები

კატოს ორი მწვანე ფანქარი ჰქონდა, ლენას კი — არც ერთი. ერთხელ ლენამ სთხოვა კატოს:

— მათხოვე მწვანე ფანქარი.

— ჯერ დედას შევეკითხები. — უპასუხა კატომ.

მეორე დღეს ორივე გოგონა სკოლაში მოვიდა. ლენამ ჰკითხა:

— დედამ მოგცა ნება, რომ მათხოვო?

კატომ ამოიოხრა და უპასუხა:

— დედამ კი მითხრა ათხოვეო, მაგრამ ძმისთვის რომ არ მიკითხავს?!

— კარგი, მაშ, ძმასაც ჰკითხე. — უთხრა ლენამ.

მეორე დღეს, კატო რომ მოვიდა, ლენამ ჰკითხა:

— რაო, ძმამ ნება მოგცა?

— ძმამ კი მომცა ნება, მაგრამ, ვშიშობ, წვერი არ მოტეხო.

— ფრთხილად ვიხმარ.

— აბა, შენ იცი, არც გათალო, არც მაგრად დააჭირო, არც პირში ჩაიდო და ნურც ბევრს დახატავ. — უთხრა კატომ.

— მე, — მიუგო ლენამ, — მხოლოდ ხის ფოთლები უნდა დავხატო და ბალახი შევაფერადო მწვანედ.

— ბევრი მოგივა. — უთხრა კატომ, წარბი შეიკრა და სახე მოეღუშა.

ლენამ შეხედა და მოსცილდა, ფანქარი არ წაიღო. კატოს გაუკვირდა და უკან გამოუდგა:

— რა მოგივიდა, წაიღე!

— არ მინდა! — მიუგო ლენამ.

გაკვეთილზე მასწავლებელმა იკითხა:

— ლენა, ხის ფოთლები ლურჯად რატომ გაგიფერადებია?

— მწვანე ფანქარი არა მქონდა.

— რატომ ამხანაგს არ გამოართვი?

ლენამ არაფერი უპასუხა. კატო ჭარხალივით გაწითლდა და ჩაილაპარაკა:

— მე შევთავაზე და მან კი არ აიღო.

მასწავლებელმა ორივეს შეხედა და თქვა:

— ისე უნდა შესთავაზო, რომ არ დააყვედრო.

თარგმანი ელ. გოგოლაშვილისა

ვერა ბუაჩიძე

ნახატი მ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი ზღვაში

ეს არაჩვეულებრივი ქალაქი სულ ათიოდე წელია, რაც არსებობს. წინათ მის ადგილას შავად შემურული წყალქვეშა კლდეები ოდნავ მოჩანდა ზღვის ზედაპირზე. გემებისათვის ეს ყველაზე სახიფათო ადგილი იყო კასპიის ზღვაზე. ბაქოდან ასტრახანისაკენ მიმავალი გემი მათ ფრთხილად უქცევდა მხარს. დიდხანს ეძებეს აქ ნავთი აზერბაიჯანელმა გეოლოგებმა და ბოლოს მიაგნეს კიდეც. ბაქოში ყველგან არის ნავთი და ზღვის ფსკერზეც აღმოჩნდა.

დიდხანს იდგა ერთადერთი ჭაბურღილი ამ წყალქვეშა ქვებზე და ნავთობის ძიებას განაგრძობდნენ საბჭოთა გეოლოგები, ახლა კი შუაზღვაში ნამდვილი ქალაქია გაშენებული.

გასულ წელს ბაქოში ვიყავი. მეტად დიდი ქალაქია ბაქო. უზარმაზარი ინდუსტრიული ქალაქი. ქალაქის ირგვლივ ტყედ არის აღმართული ნავთობის კოშკურები. ვინ არ იცის, რომ ბაქო ნავთის დიდი საბადოა. მაგრამ თუ ზღვის ფსკერიდანაც იღებდნენ ნავთს, ეს ძნელი წარმოსადგენი იყო.

ერთხელ, საღამო ხანს, ზღვის პირას გავედი. როცა შებინდდა და ქალაქი ელექტროშუქით გაჩაღდა, შორს, კასპიის ზღვაშიც აკიაფდნენ უამრავი ელექტრონათურები, თითქოს ჰორიზონტზე ხმელეთის მეორე ნაპირი გამოჩნდა.

ამიხსნეს, რომ იქ, ჰორიზონტზე, გაჩირაღდნებული ქალაქი ზღვაში ხელოვნურად ჩაყრილ კუნძულებზე არის გაშენებული.

გადავწყვიტე, მენახა ქალაქი ზღვაში. ამაზე უფრო საინტერესო, აბა, რა უნდა ყოფილიყო! მაგრამ ეს ადვილი საქმე არ არის. ბაქოში წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე კვირაა უქარო, დანარჩენი დღეები სულ ქარიანია. ხან ქარიშხალი მძვინვარებს ზღვაზე და ხმელეთზეც სილის კორიანტელს აყენებს, ხან ოდნავ დაწყნარდება, მაგრამ წუთიდან წუთზე შეიძლება ისევ შეიცვალოს ამინდი და ამიტომ მიუჩვეველი ადამიანისათვის ძნელია ზღვაში გასვლა.

მეორე დღეს ისეთი თბილი და უქარო დილა გათენდა, აი, თბილისში რომ იცის ხოლმე გვიან შემოდგომაზე.

სიო არ იძროდა. სარკესავით ბრწყინავდა კასპიის ზედაპირი. ჩვენს მოტორიან ნავს „დიმიტრი გოლუბიატნიკოვი“ ერქვა,—გამოჩენილი პროფესორის, მენავთობე გეოლოგის სახელი. თამამად მიარღვევდა ნავი ტალღებს. ტალღები ითქმოდა, თორემ სად იყო ტალღა? გროვად მოჰყვებოდნენ თევზები მას და ზღვის სიღრმეშიც კოინდარივით მოჩანდა წყალმცენარეებით დაფარული ფსკერი.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ მივადექით ზღვაში ხელოვნურად აგებულ კუნძულს. ნავი ნავსადგურში შევიდა. ეს ნავსადგურიც ხელოვნურად ყოფილა შექმნილი: დაძველებული ჩაძირული გემებით მოუღობიათ ნავების მისადგომი ადგილი შუა ზღვაში.

ირგვლივ მოჩანდა ლითონის ძელებზე აგებული საავტომობილო გზები, მათ ესტაკადები ეწოდება. ნავთის კოშკურებს, რომლებიც ზღვის ფსკერიდან ნავთს იღებენ, ეს ესტაკადები აერთებენ.

ვინ დაიჯერებს, რომ გაშლილ ზღვაში აშენებულ წყალზედა ქუჩებზე ფეხით სიარულმა დაგვღალა. საავტომობილო გზებზე, რომლის ქვეშ ზღვა ლურჯად ლივლივებს, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის ვაგონები და ხუთტონიანი საბარგო მანქანები თავისუფლად უქცევენ ერთმანეთს მხარს.

გადააქვთ ბურღვის მოწყობილობა, ხეტყე, საალმშენებლო მასალები, ორსარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

თულიანი სახლებიც კი არის აქ აგებული ზღვის ფსკერზე ჩაბეტონებულ ლითონის ბოძებზე. ხეროებს აივნებიც კი არ დავიწყებიათ. სწრაფად იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ნავთის სარეწაოები შუა ზღვაში.

ეს კუნძული პირველად ასე შეიქმნა: ცურვისათვის გამოუსადეგარი, მაგრამ კვლავ მჭიდროდ შეკრული გემები ბუქსირით მოიტანეს ამ ადგილას, ნახევრად ჩაძირეს წყალში და მისი გემბანი და კაიუტები საცხოვრებლად გამოიყენეს. ერთ-ერთ ასეთ გემბანზე ქალაქის კლუბია მოწყობილი. აქვეა სამკითხველო-ბიბლიოთეკა, მაღაზიები და კინო-თეატრი. აღარც კი ეტყობა, რომ ეს ოდესმე გემბანი იყო. წარწერა ნელ-ნელა გადაურეცხავს ზღვის ტალღებს და კასპიის ქარ-სიცხეს.

როცა ყველაზე შორეული ესტაკადის ბოლოში გავედით, ნავთობის იმოდენა რეზერვუარი იდგა იქ, რომ ჩვენ მასთან შედარებით ბუზისტოლად მოვჩანდით.

დილა აქ ჩვეულებრივზე უფრო ადრე იწყება.

ღამის ცვლის მუშები ბრუნდებიან კოშკურებიდან და ისმის, როგორ შხაპუნებს წყალი აბაზანებში:—მუშაობის დამთავრების შემდეგ მუშები ტანს იბანენ. მეორე ცვლა ამ დროს უკვე ადგილზეა. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ზღვის ფსკერის ბურღვა, განუწყვეტლივ ირხევიან საქანელა დაზგები მომუშავე ჭაბურღილზე და განუწყვეტლივ მიედინება



ეროვნული ბიბლიოთეკა

5369

მილსადენებში კასპიის ნავთი; ძლიერი ქარიშხლის დროსაც კი არ ფერხდება მუშაობა.

ყოველგვარი პირობებია შექმნილი მენავთობეებისათვის ამ კუნძულზე. მთელი ქალაქი რადიოფიცირებულია. საკუთარი რადიოკვანძიდან ესაუბრებიან ისინი ნავთის მოპოვების ოსტატებს და მცხოვრებლებს, ბიბლიოთეკის გამგესა და კულტმუშაკს. მუშაობს ფოსტა-ტელეგრაფი, სამედიცინო პუნქტები, აფთიაქი.

კუნძულს საზღვაო ტრანსპორტიც საკუთარი ჰყავს. ამწევი მანქანები მოტორიანი ნავებით მიმოდიან კოშკურებს შორის, სისტემატურად დადიან სამგზავრო ხომალდები ბაქოსა და ზღვის ქალაქს შუა. სასმელი წყლით დატვირთული კატერები ხომ დღეში რამდენჯერმე მოდიან კუნძულზე,—წყაროს ცივი წყალი მოაქვთ მენავთობეებისათვის.

საღამოს კი, როცა ბინდი ჩამოწვება ზღვაზე, ლამპიონები ინთება ყველგან. შორს ნავთის კოშკურებზეც შუქურები კიაფობენ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ემსგავსება ზღვის შუაგული.

წინათ მხოლოდ ზღაპრებში იყო ასეთი რამ. ახლა ზღაპარი სინამდვილედ იქცა და იქ, სადაც ოდესღაც ღამის სიბნელეში ერთადერთი შუქურა ბჟუტავდა,—გემებს აფრთხილებდა ზღვისქვეშა კლდეების საშიშროებისაგან, ახლა ნავთის ქალაქი გადაშლილა, ნავთის ახალი ქალაქი ზღვაში.

ასე იმორჩილებს და ეუფლება ადამიანი ბუნებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ კვირკაია

ღიფჯი

დღეს სახლები კოშკებივით
აზიდული არის ცამდე;
ვისაც ზევით ასვლა გინდათ,
შესასვლელთან დამიცადეთ.

ამოდენა კიბეებზე
პატარები როგორ ივლით:
მე გიშველით, არ გეგონოთ
სათამაშოდ მოგონილი.

მუშაობას მიადვილებს
თმაჭალარა თანამგზავრი;
ვისაც რომელ სართულზე სურს,
იმ სართულზე ააგზავნის.

სიმძიმით ვერ შემაშინებთ,
განა ასე სათუთი ვარ!
დღეში ასჯერ დავეშვები
მეთერთმეტე სართულიდან.

ილია სიხარულიძე

ორი ლექსი

ნახატები გ. როინიშვილისა

აგარაკზე მოვედით!

აგარაკზე მოვედით,
რა კარგი ჰაერია!
ლამაზია ნაძვნარი,
მთებიც მშვენიერია!

უხარიათ ყვავილებს,
როგორ შემოგვცქერიან!
მოგვეგებნენ ჩიტები,
მღერიან და მღერიან!

აგარაკზე მოვედით,
გვიხარია პატარებს,
ყველა ერთად ვიქნებით,
ზაფხულს აქ გავატარებთ;

ვირბენთ აღმართ-დაღმართში,
კორდებს გადავახტებით,
მოლზე ვიკოტრიალებთ,
ჯანმაგარი გავხდებით!

აგარაკზე მოვედით,
გვიხარია პატარებს,
ზაფხულში აქ დავრჩებით,
ზაფხულს აქ გავატარებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, ჩვენი აგარაკი

აი, ჩვენი აგარაკი,
შუა ტყეში ჩადგმულია;
ნაძვები ხელჩაკიდებით
ჩვენს აგარაკს გარს უვლიან.

ჩვენს საყვარელ ძიძა მაროს
ძლიერ უერთგულებია:
სუფთად გაშლილ მაგიდებზე
ყველგან თაიგულებია!

გვიყურებენ ყვავილები,
თვალჟუჟუნა ყვავილები,
მზიასავით, ნუნუსავით,
სუფთად პირდაბანილები.

დაიქროლებს ნიავი და
ფიჭვ-ნაძვნარი იწყებს შრიალს;
ჩვენს სახლის წინ წითელ ალმებს
ფრთები ლაღად გაუშლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ჩხაიძე

ნანატი ზ. ლეჟავსკი

სიმღერა

ობოლი იყო ჰასანი, მაგრამ თავს ობლად არ გრძნობდა. ყველა სოფლის დედაკაცი „შვილო ჰასანს“ ეძახდა, ყველა ბავშვი — „ძამიკო ჰასანს“. თურქეთის ბევრ სოფელში უყვარდათ ჰასანი.

— აჰა, გრძელფოჩიანი სიმინდის ტარო, მამამ გაჩუქა!

— აჰა, ჩაშაქრული ყურძნის მტევანი, დედიკომ გამოგიგზავნა!

— აჰა, თაფლში მოზელილი პური! — სთავაზობდნენ სოფლელი გოგო-ბიჭები და თმახუჭუჭა ჰასანს თავს ევლებოდნენ.

უზომოდ უყვარდათ გლეხებს პატარა ჰასან მომღერალი. სწორედ ამიტომ სძულდათ ჰასანი: მოლას, [1]) ბეგს[2]) და მდიდარ ვაჭარ აღას.

— ეშმაკი უზის ყელში, — ამბობდა მოლა.

— გლეხებს მუშაობაზე მიცდენს! — სისინებდა ბეგი.

— მუშტრებს მიფრთხობს. — ბუზღუნებდა აღა.

ჰასანსაც სძულდა გლეხების მჩაგვრელები.

— დამაცადეთ, მეც გაგამწარებთ! — თქვა ერთხელ ჰასანმა, როცა ბეგის ტყეში ფიჩხის მოგროვებისათვის მისი გულითადი მეგობარი პატარა ალი საჯაროდ გაროზგეს.

ირიჟრაჟებდა თუ არა, სალოცავთან გაჩერდებოდა და ხმას ისე ააწკრიალებდა, რომ მის შემდეგ მოლას „ალაჰ-ვალაჰის“ მოძახილი აღარ ისმოდა.

გაბრაზდა ერთ დღეს მოლა, ისე გაბრაზდა, რომ სალოცავიდან „ალაჰ-ვალაჰის“ ნაცვლად ჰასანს მრისხანედ გადმოსძახა:

— რა გაღრიალებს ამ უთენიას?

— ბედნიერებას ვეძახი, მოლა ბატო-

---

[1]) მოლა — სასულიერო პირი

[2]) ბეგი — ბატონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნო. — თქვა მორჩილებით ჰასანმა და სიცივისაგან გალურჯებულ შიშველ ფეხებზე დაიხედა.

— ერთ წყვილ წუღას მოგცემ, ოღონდ ნუ მღერი! — უთხრა მოლამ.

— ერთი წყვილი წუღისათვის სიმღერას ვერ დავთმობ, მოლა ბატონო. — უპასუხა ჰასანმა.

— მაშ, რამდენი გინდა?! — აენთო მოლა.

— იმდენი, რამდენიც ფეხშიშველი ბავშვია ჩვენს სოფელში! — უპასუხა ჰასანმა და გაქუსლა.

მეორეჯერ ჰასანი აღას დუქნის წინ ჩამოჯდა და სიმღერა შემოსძახა.

— რა გაღრიალებს! — შეუტია აღამ.

— ბედნიერებას ვეძახი, აღა ბატონო. — თქვა პატარა მომღერალმა და ნატვრით სავსე თვალები მდიდრების შვილების სკოლას მიაპყრო.

— ამ სკოლაში ანბანის სწავლას მოგიხერხებ უფასოდ, ოღონდ ნუ მღერი! — სთხოვა აღამ.

— მარტო ჩემი სწავლისათვის სიმღერას ვერ დავთმობ, აღა ბატონო. — მიუგო ჰასანმა.

— მაშ, რა გინდა? — დაიღრიალა აღამ.

— რაც სოფელში ღატაკების შვილებია, ყველამ ისწავლოს სკოლაში! — მიაძახა ჰასანმა და გაქუსლა.

მესამეჯერ ბეგის სასახლეს მიადგა ჰასან მომღერალი და სიმღერით გული შეუწუხა.

— ჰეი, შე არამზადავ, რა გაღრიალებს! — გადმოსძახა გაბრაზებულმა ბეგმა.

— ბედნიერებას ვეძახი, ბეგო! — თქვა ჰასანმა თავმდაბლად და განაგრძო: — ერთი ციცქნა მიწა არ გამაჩნია, რომ თავი შევინახო.

— მოგცემ ერთ ციცქნა მიწას, ოღონდ ხმა ჩაიწყვიტე! — უბრძანა ბეგმა.

— მარტო ჩემი თავისთვის სიმღერას ვერ დავთმობ, დიდებულო ბეგო! — თქვა ჰასანმა და სიმღერა უფრო ძლიერ შემოსძახა.

— მაშ, რამდენი ციცქნა გინდა? — განრისხდა ბეგი.

— იმდენი, რამდენი საწყალი გლეხიც მუშაობს შენთვის შენს მიწა-წყალზე, თვითონ კი ლუკმა პური ენატრებათ! — უპასუხა ჰასანმა და გაქუსლა.

— პატარა რა არის, გაიზრდება რა იქნება! სიმღერით ხალხს აგვიჯანყებს, დავიღუპებით, თუ თავიდან არ მოვიშორეთ. — თქვეს საღამოს სათათბიროდ თავმოყრილმა: ბეგმა, ვაჭარმა აღამ, მოლამ და გადაწყვიტეს ჰასანის მოკვლა.

დიდხანს უთვალთვალეს, უნდოდათ ჰასანის დამარტოხელება, მაგრამ ჰასანი მარტო არასდროს დადიოდა, ან თუ მარტო იყო, ისე გარბოდა, რომ მას ვერავინ დაეწეოდა.

დაიღალნენ ჰასანის დევნით ბეგის დამქაშები, იმედიც გადაიწყვიტეს. „სულერთია, ვერ დავეწევითო", მაგრამ ერთ-ერთ გარიჟრაჟზე ზღვის ფსკერიდან სამთავა დევივით აზიდულ ვეებერთელა კლდეებთან მომღერალ ჰასანს ტყვია დაეწია, და გული გაუგმირა.

ლალისფრად შეიღება აქოჩრილი ზღვის ტალღები და მგლოვიარე ხალხთან ერთად აქვითინდა.

* * *

აღარ არის ჰასანი, მაგრამ ახლა გლეხები ყოველ განთიადს ჰასანის სიმღერით ეგებებიან:

თავისუფლად მონავარდე მერცხალო,
მოჭიკჭიკევ, ჰო, რა ბედნიერი ხარ,
თავისუფლად დასრიალებ ჰაერში
არვინ გიშლის, ჰო, რა ბედნიერი ხარ!..

ცოფდებიან: ბეგი, მოლა და აღა ვაჭარი, მაგრამ რა ქნან, ყველას ხომ ვერ დახოცავენ, ან რომ დახოცონ, სიმღერას განა მოკლავენ?!

ა. ონელი

ნახატი გ. როინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისანა

აგერ, პაწია ცისანა,
ეს პაწაწინა ქალი,
დედას, მამას და მეგობრებს
გულს გაუხარებს სწავლით.
წიგნს ეფერება, თუმცა ჯერ
ვერ მორევია ანბანს,
დღე-ღამ სკოლაზე ოცნებობს,
შეჰხარის წიგნს და ჩანთას;
რამდენსაც გნებავთ, გიამბობთ
საბავშვო ბაღის ამბავს;
ბუჩქები... ია-ვარდები
რამდენი დაუხატავს!
ჩიტივით დაქრის ცისანა
თამაშითა და მღერით,
ტუჩს არ შორდება ღიმილი,
ლოყას—ყაყაჩოსფერი.
განა მარტოა, დები ჰყავს,
ძმები ჰყავს მშვენიერი,
ცისკარზე უფრო ლამაზი,
ვარსკვლავზე უფრო ბევრი.

ზურაბ ქუხიანიძე

ნახატი ი. სუხიშვილისა

ღაღი და პეპელა

დაჯექ, დაჯექ, პეპელავ,
მოფრენილო ველიდან;
ნუ თუ არ დაიღალე
ღღეს ამდენი ფრენითა?

ყვავილები ჩემს ბაღშიც
ჰყვავის ნაირფერები,
შენ გგონია ფრთებს გატკენ?
არა, — მოგეფერები.

მე კუდრაჭა გოგო ვარ,
მე ლალი ვარ პაწია,
ნახე, შენი ფრთებივით
ჭრელი კაბა მაცვია.

დაჯექ, დაჯექ, ყვავილებს
სულ რომ თავზე ევლები,
შენ გგონია ფრთებს გატკენ?
არა, — მოგეფერები.

შაჰარ სამადაშვილი

ბუნების კარი

ვინ გატეხა?!

ნახატები ჯ. მახარაძისა

— არა, უარს რომ ამბობ, შენს გარდა ვინ გატეხდა?

თემური და მარინე გატეხილ ქოთანთან იდგნენ; იქვე უცნაურად გაბერილი ლობიოს მარცვლები იატაკზე მობნეულიყო.

— რატომ არ გჯერა, რომ მე არ გამიტეხია? — ჰკითხა თემურმა.

— მაშ, შენი ყეფია გატეხდა!

— ყეფია შენი კნუტივით წუწკი ხომ არ არის, ქოთანში რომ ჩამძვრალიყო?!

— ჩემი კატა, მართალია, მსუნაგია, მაგრამ მოუხარშავ ლობიოს არ იკადრებს.

— დედა რომ დაბრუნდება სამუშაოდან, ის დამიჯერებს, ქოთანი მე არ გამიტეხია! — დარწმუნებით თქვა თემურმა.

— დედამ კარგად იცის, რასაც მიეკარები, ყველაფერს ამტვრევ!.. აი, გუშინ ფანჯრის მინა...

— მინა უცაბედად გამიტყდა. — იმართლა თავი თემურმა.

— ჰოდა ქოთანიც, ალბათ, უცაბედად გაგიტყდა — არ ეშვებოდა მარინე.

— ქოთანი მე არ გამიტეხია!.. — თქვა შეწუხებულმა თემურმა და ტირილი დაიწყო.

ამ დროს ოთახში მარინეს და თემურის ბიძა, აგრონომი ნიკო შემოვიდა.

— ძია ნიკო, ნახე, თემურს ქოთანი გაუტეხია!

— არ გამიტეხია, ძია, და მე მაბრალებს. — უთხრა თემურმა. ნიკომ დახედა ქოთანს, მოფანტულ ლობიოს და გაიცინა:

— თემური მართალია, ეს ქოთანი მისი გატეხილი არ არის!

თემურს სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— მაშ ვინ გატეხა? — გაკვირვებით იკითხა მარინემ, — სკოლაში რომ წავედი, ქოთანი მთელი იყო.

— რომელმა ჩაყარა ქოთანში ლობიო?

— მე! — უპასუხა მარინემ.

— წყალი რაღად დაასხი ზედ?

— გუშინ დედამ მითხრა: ჩვენი რგოლის ნაკვეთზე ბევრი გამცდარი ადგილებია და გამოსათესად ლობიო დაალბეო.

— გუშინ დაალბე?

— გუშინ.

— ჩემო მარინე, ქოთანში ლობიო თითქმის ყელამდე ჩაგიყრია, წყალი დაგისხამს და თანაც ქვის მძიმე სარქველი დაგიფარებია...

— სარქველი, მართალია, მძიმეა, მაგრამ ისე ფრთხილად დავაფარე, რომ ქოთანი არ გატეხილიყო.

— შენ არ გაგიტეხია, მაგრამ შენი მიზეზით ლობიოს მარცვლებმა გატეხეს.

— ლობიოს მარცვლებმა?

— ზოგიერთი მცენარის თესლს, და მათ შორის, ლობიოსაც შეუძლიათ დიდი რაოდენობით წყლის შეწოვა, გაჟიჟინება, ზომაში ორ-სამჯერ მომატება;

დასალბობად ჩაყრილმა ლობიოს მარცვლებმა შეიწოვეს წყალი, გაჟიჟინდნენ, ველარ მოთავსდნენ ჭურჭელში, მიაღწევნენ მის კედლებს და გახეთქეს. სარქველი რომ ასე მძიმე არ ყოფილიყო, ადვილად ასწევდნენ მას, იატაკზე გადმოიბნეოდნენ და ქოთანიც გადარჩებოდა.

— ახლა რაღას იტყვი, ვინ არის დამნაშავე? — გამარჯვებული სახით ჰკითხა თემურმა დას.

მარინემ თავი ჩაღუნა.

ნიკომ რამდენიმე ლობიოს მარცვალი აიღო და ბავშვები ფანჯარასთან სინათლეზე მიიყვანა.

— თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ თესლში პაწაწინა მცენარეა მოთავსებული. — ძია ნიკომ ლობიოს კანი გადააძრო, მარცვალი ორად გაყო და ბავშვებისაკენ დაიხარა. მარცვლის ერთ ნახევარზე პატარა მცენარე იყო მიკრული, პაწაწინა ფოთლებით, ღეროთი და ფესვით.

— ეს მცენარის ჩანასახია, მასში მცენარის ყველა ნაწილია მოცემული. როგორც კი თესლი სითბოში აღმოჩნდება, წყლით გაიჟღინთება და ჰაერიც ჩანასახამდე მიაღწევს, პაწაწინა მცენარე მაშინვე დაიწყებს ზრდას და აღმოცენდება. როდესაც ლობიოს თესლი უკვე წყლით არის გაჟღენთილი და გარეთაც საკმაოდ თბილა, დათესავენ თუ არა, ხელად ამოვა.

— თემურ, დედას ნამდვილად დაავიწყდა ამ თესლის წაღება, მოდი, ჩვენ წავუღოთ!

— წავუღოთ და გამოთესვაშიც მივეხმაროთ!

ბავშვებმა ლობიო აკრიფეს, სხვა ჭურჭელში ჩაყარეს და ჩქარი ნაბიჯით ბოსტნისაკენ გაეშურნენ.

ქეთევან ჭილაშვილი

ერთგული მცველი

ნახატები ს. გაბაშვილისა

— არა მინდა რა, ერთი სტაფილო მომეცა ჩასაკნატუნებლად! — ინატრა ტუჩცმაცუნა კურდღელმა.

— ცვარნაპკურებ კომბოსტოს კი დაიწუნებდი? — ჰკითხა მის გვერდით მოკუნტულმა ქათქათა ყურცქვიტამ.

— რად დავიწუნებდი? ამდენი სამყურა ბალახის ძოვნამ, მეშინია, მესამე ყურიც არ წამომიზარდოს! — იხუმრა ტუჩცმაცუნამ.

— ქაჯან, გაურჯელად ნატვრა ვის შესრულებია?! წადი სოფლისაკენ, გაისეირნე, შენი მეგობარი ლეკვი ყეფია ინახულე, აუცილებლად ბოსტანში შეგიპატიჟებს და, შენ იცი, როგორც მოულხენ ბოსტნეულს.

— კარგი რამ მირჩიე, ჩემო ქათქათავ! ჩემი ბაჭიაობის დროს მე და ყეფია დიდი მეგობრები ვიყავით: კრუხ-წიწილას და ღრუტუნა გოჭებს კვლებთან არ გააჭანებდა, მე კი ერთხელაც არ დამყეფდა. რამდენჯერ ამომიჭამია იმის ჯამში საჭმელი, მაგრამ არ მახსოვს, ჩემთვის ესაყვედურებინოს. გამოპარვაშიც იმან მომიმართა ხელი, მითხრა: შენ ტყე გირჩევნია ნოდარის მზრუნველობასო.

— ჰოდა წადი, წადი... აი, ეს ხურჯინიც თან წაიღე და ერთი ორი დღის საგზალიც გამოიყოლიე! — წააქეზა, წაახალისა ქათქათამ ტუჩცმაცუნა და ბუერას ფოთლებისაგან ამოკერილი ხურჯინი მხარზე გადაჰკიდა.

თენდებოდა, როცა ტუჩცმაცუნა სოფლის განაპირას მდგარ სახლის ეზოს მიუახლოვდა. გულაფანცქალებულმა ღობეს იმ მხრიდან მოუარა, სადაც ყეფიას უყვარდა წოლა. ბევრი ათვალიერა მეგობარი, მაგრამ თვალი ვერსად მოჰკრა.

— ცოტა ხანს მოვიცდი, იქნებ გამოჩნდეს! — გაივლო გულში და ბუჩქებში გაინაბა.

სინათლე მატულობდა, ყეფია კი არსად ჩანდა.

ტუჩცმაცუნამ ხურჯინი მხარზე გადაიკიდა და ისკუპა ბუჩქებიდან; რამდენიმე ნახტომის შემდეგ ლაზათიანად მოვლილ ბოსტანს წააწყდა.

— იფ, იფ, იფ!.. რა მიმზიდველად ჩამწკრივებულან კომბოსტოები! განა ჩემი ბრალი იქნება, სულმა რომ წამძლიოს და ბოსტანს ვესტუმრო?! — წინასწარ გაიმართლა თავი ტუჩცმაცუნამ და ღობეში შეძრომა დააპირა.

ხმაურობაზე ყეფიამ სწრაფად ღობესთან მიირბინა და ღრენით შეჰყეფა.

ნამდვილად ის არის! — გამხნევდა ტუჩცმაცუნა, ღობეში გაძვრა და ყეფიას წინ მოიკუნტა.

— გამარჯობა, ყეფია, ვერ მიცანი? მე ტუჩცმაცუნა ვარ, შენი მეგობარი. როგორ გაზრდილხარ! — მიესალმა მეგობარს და თათი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, ტუჩცმაცუნავ! როგორა ხარ, მოგხდენია ტყეში ყოფნა! — მოიკითხა ყეფიამ.

8.1/358

— მომენატრე, ყეფია... შენს სანახავად გამოვსწიე. რა ხანია გითვალთვალებ და, რომ ვერ გნახე, გულნაკლული ვბრუნდებოდი უკან. კიდევ კარგი, შემხვდი...

ტუჩცმაცუნა ფიქრობდა: ყეფია ან ახლა მიმიპატიჟებს კომბოსტოზე და ან ახლაო. ყეფია კი მიპატიჟებას ~~არ~~ აპირებდა.

— ყეფია, შენ გგონია, კომბოსტო შემძულდა? რატომ არ მეპატიჟები, ლამის არის ნერწყვმა დამახრჩოს!.. — ხუმრობით ჩაუკრა მოთმინებადაკარგულმა ტუჩცმაცუნამ.

— ვერა, ტუჩცმაცუნავ, ვერ მიგიპატიჟებ! — უარი უთხრა ყეფიამ, — ეს ბოსტანი კოლმეურნეობისაა. მე და ნოდარის მამას გვაბარია. კოლმეურნეები ადილიდან ბინდბუნდამდე აქ ფუსფუსებენ, შრომობენ. მე კი ნდობა გავუმტყუნო? შრომა გავუნიავო? მე ერთგულ ყეფიას მეძახიან.

— შევცდი, შევცდი... შენ ჩემი მეგობარი არ ყოფილხარ! — უკმაყოფილოდ თქვა ტუჩცმაცუნამ და ცარიელი ხურჯინით ტყისაკენ იბრუნა პირი.

კმაყოფილმა ყეფიამ კი გამაყრუებელი ყეფა ატეხა.

ყდაზე: ვლ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი მაიაკოვსკში. ნახატი ვ. ჯაფარიძისა ფასი 2 მან.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ფ. თუმანიშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. ხიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 7, Июль 1953 г. Тбилиси, Ленина 14.
საბეჭდგამი. რედაქციის მისამართი. თბილისი, ლენინის 14. 3 სართ. ტელ. 3-37-38
გადმც. შეკვ. № 182 სტამბის შეკვ. № 744|1491 ტირაჟი 15.000 უე 05137